N 13
28/02/2020

13-07-4-202002281406

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №13
2020 წლის 28 თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 121-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, განკარგოს (გაასხვისოს) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, რომელმაც დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება:

ა) ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ტროტუარი) (ს/კ 27.06.51.334).

ბ) ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 186 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ტროტუარი) (ს/კ 27.06.51.333).

გ) ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 520 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართულის N502, 229.57 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 27.06.56.072.01/502) გ) ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 520 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულის 294.52 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 27.06.56.072.01/501).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე,
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო